

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება: **ბ14.142115926**

08/06/2021

საპატიო წოდების მინიჭების საკითხთა საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ

საპატიო ბათუმელისა და ბათუმის საპატიო მოქალაქის წოდებაზე წარდგენილი კანდიდატურის საკითხის განხილვისა და დოკუმენტაციის შესწავლის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის N29 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს შემოღების და მინიჭების წესი“-ს მე-3 და მე-4 მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეიქმნას საპატიო წოდების მინიჭების საკითხთა საკონსულტაციო საბჭო (შემდგომში - საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

- ა) სოფიკო ხალვაში - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);
- ბ) ნატალია ზოიძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ს ა ბ ჭ ო ს წ ე ვ რ ე ბ ი :

- გ) დავით ბაციკაძე - აჭარის არ უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;
- დ) დავით თედორაძე - აჭარის არ უმაღლესი საბჭოს წევრი;
- ე) სულხან ღლონტი - აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე;
- ვ) აკაკი ძნელაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე კულტურის დარგში;
- ზ) მარინა ზანაქიძე - აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;
- თ) ირმა აფხაზავა - აჭარის არ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე;
- ი) ირაკლი პატარაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის,

ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე;

- კ) გიორგი კიკაბიძე - შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ კლინიკური მენეჯერი;
- ლ) რუსუდან შავიშვილი - აჭარის არ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი;
- მ) ოთარ კალანდაძე - სსიპ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი;
- ნ) თამაზ თურმანიძე - აჭარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავთა ასოციაციის თავმჯდომარე;
- ო) ტარიელ ტუსკია - გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი - აკადემიკოსი, შპს „ტუსკი გეოლოგ გრუპის“ დირექტორი;
- პ) მერაბ ხალვაში - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;
- ჟ) მაია ჭიჭილეიშვილი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
- რ) ირაკლი შარაბიძე - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორი;
- ს) დარეჯან მექვაბიშვილი - პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე;
- ტ) ირაკლი შაფათავა - ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ დირექტორი;
- უ) ჯიმსონ გურგენიძე - აჭარის დამსახურებული მხატვარი, საპატიო ბათუმელი;
- ფ) ოთარ მიქელაძე - აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „არსიანის“ დირექტორი;
- ქ) შალვა გოგუაძე - ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფი;

- | | | |
|----------------------|---|--|
| დ) თეონა ბერიძე | - | ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ დირექტორი; |
| ყ) ჯუმბერ უნგიაძე | - | ექიმი, მედიცინის დოქტორი, კლინიკა „მედინას“ კლინიკური დირექტორი; |
| შ) ნანა საყვარელიძე | - | ექიმი, სარეაბილიტაციო დღის ცენტრ „თანას“ დამფუძნებელი და დირექტორი; |
| ჩ) ვალერიან მოქერია | - | ყაზახეთის რესპუბლიკის საპატიო კონსული ქ.ბათუმში, „ბათუმელთა დარბაზის“ გამგეობის თავმჯდომარე, ბათუმის საპატიო მოქალაქე; |
| ც) ნინო ნიჟარაძე | - | მხატვარი, აჭარის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მმართველი, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, საპატიო ბათუმელი; |
| ძ) გიორგი მიქელაძე | - | ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელი; |
| წ) ნანა ხახუტაიშვილი | - | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ დირექტორი; |
| ჭ) გურამ ფუტკარაძე | - | აჭარის დამსახურებული მხატვარი, აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლის დირექტორი, საპატიო ბათუმელი. |

2. საბჭოს მდივნის ფუნქციის შესრულება დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მოქალაქეთა საკითხების განყოფილების მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტს ნათია ჩახვამეს.

3. საბჭოს წევრების უფლებამოსილება, მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის N29 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს შემოღების და მინიჭების წესი“-თ.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საპატიო წოდების მინიჭების საკითხთა საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 11 ივნისის №2242 ბრძანება.

5. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

(დროებით მოვალეობის შემსრულებელი)